ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 91

“6” აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე–3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 2 აპრილის N14.01.376 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, დანართის შესაბამისად.

2. განკარგულებაზე შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე

"2 " აპრილი 2015 წ. ქ. თბილისი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში თბილისი), წარმოდგენილი თბილისის მერის - **დავით ნარმანიას** სახით და მეორე მხრივ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის - **მიხეილ გიორგაძის** სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-17 მუხლის, 73–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის, 129-ე მუხლისა და 130-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, 41-ე მუხლის, 47-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65–ე, 66–ე, 71–ე მუხლებისა და „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, სამინისტროს მიერ, თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების,

გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღების, ასევე წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლის უფლებამოსილების დელეგირება თბილისისთვის.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები და უფლებამოსილებები

1. სამინისტრო ვალდებულია, შექმნას სათანადო პირობები წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებისათვის.

2. სამინისტრო დელეგირებულ უფლებამოსილებებზე ახორციელებს დარგობრივ ზედამხედველობას, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი წესითა და ფარგლებში.

3. სამინისტრო უზრუნველყოფს თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) გაცემული ნებართვების, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის შეთანხმების და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვების, აღნიშნული ნებართვების/შეთანხმების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების და ამ აქტებზე თანდართული შესაბამისი დოკუმენტაციის თბილისისათვის გადაცემას.

4. თბილისი უფლებამოსილია განახორციელოს თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემა, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმება, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღება, ასევე წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლი.

5. თბილისი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე გაცემულ სამუშაოთა (გარდა საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვების, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ

№1

ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვების შეთანხმების ან/და აღნიშნული ნებართვების/შეთანხმების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების საბოლოო ანგარიშების მიღების თაობაზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ტექნიკური შეცდომების გასწორება, ძალადაკარგულად გამოცხადება, არარად აღიარება და ბათილად ცნობა.

6. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები ან სარჩელის საფუძველზე დაწყებული სასამართლო დავები დასრულდება „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების ამოქმედებამდე არსებული წესით.

7. თბილისი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის საკითხთა განსახილველად, სამინისტროსა და თბილისის ორგანოების წარმომადგენლებისაგან, პარიტეტის პრინციპის გათვალისწინებით, შექმნის სათათბირო ორგანოს - საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია მოწვეული იქნენ დარგის ექსპერტები (სპეციალისტები).

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს თბილისის მთავრობა, ხოლო საბჭოს დებულებას ამტკიცებს თბილისის საკრებულო. საბჭოს შემადგენლობა და დებულება დამტკიცებამდე თანხმდება სამინისტროსთან.

9. მხარეთა შეთანხმებით სამინისტროს მიერ განხორციელდება სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემა თბილისისათვის სავარაუდოდ 1000 (ათასი) ლარის ფარგლებში ყოველწლიურად.

მუხლი 3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან ხელშეკრულების შეწყვეტა

1. საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისას, რასაც შეიძლება მოჰყვეს გარემოებათა არსებითი შეცვლა, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან ხელშეკრულების შეწყვეტა.

2. მხარეთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა.

ერთობლივი ნარჩენების განყოფილება № 1

მუხლი 4. დასკვნითი დებულება

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მუხლი 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერისა და თბილისის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე და მოქმედებს უვადოდ.

მხარეთა რეკვიზიტები:

ქ. თბილისის	საქართველოს კულტურისა და
მუნიციპალიტეტის მერი	ძეგლთა დაცვის მინისტრი
დავით ნარმანია	მიხეილ გიორგაძე
" 2 " აპრილი 2015 წელი	" 2 " აპრილი 2015 წელი

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ნარმომადგენლობა №1